ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის კობა ლურსმანაშვილის 2023 წლის ანგარიში

2023 წელი

ხარაგაული

წარმოგიდგენთ ხარაგაულის მერის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშს.

კანონის დაცვა, საჯაროობა, მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულება - ეს ის მთავარი პრინციპებია, რომლითაც ხარაგაულის მერი და მერია საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს.

ჩვენი მთავარი პრიორიტეტი მოსახლეობა, მათი ჯანმრთელობის დაცვა და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვაა.

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის განხორციელების პროცესში, ჩვენთვის მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ჩართულობა, ამიტომ გადაწყვეტილებების მიღებისას ჩვენ ვართ ღია და გამჭვირვალე.

სამუშაო პროცესის განხორციელებისას, გვაქვს მუდმივი კომუნიკაცია ხალხთან, ვიყენებთ ყველა შესაძლებლობას მოვახდინოთ საზოგადოების ინფორმირება, თუ რა სახის სოციალურ სერვისებს ვთავაზობთ მათ და რა პროექტები იგეგმება და ხორციელდება მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის.

რაც მთავარია, ჩვენ ვუსმენთ მოსახლეობას , ვაკეთებთ საბიუჯეტო პროგრამების, მერიის სოციალური სერვისების და ინფრასტრუქტურული პროექტების ანალიზს, რაც გვაძლევს შესაძლებლობას შევაფასოთ, თუ რომელ გამოწვევებს ვუპასუხეთ ღირსეულად, და რა საჭიროებები რჩება კვლავ მოსახლეობის წინაშე.

უკვე 2 წელია ხარაგაული წარმატებით ახორციელებს ,,სამოქალაქო ბიუჯეტის“ პროგრამას, რომლის მთავარი იდეაც მოსახლეობის ჩართულობით და უშუალო მონაწილეობით საუკეთესო იდეების შერჩევა, პროექტების დაგეგმვა და განხორციელებაა. 2021 წელს ხარაგაულის მერიამ , აღნიშნული პროგრამის ეფექტურად განხორციელებისთვის ,,საუკეთესო პრაქტიკის“ წოდება მიიღო.

მიმდინარე წელს კონკურსში ხმების უპრეცედენტო რაოდენობა 6767 ხმა შემოვიდა და 5 გამარჯვებული პროექტი გამოვლინდა.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა. ვფიქრობთ, 2023 წლის ანგარიში ახლოს გავაცნოთ ახალგაზრდებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, პედაგოგებს.

საანგარიშო წლის განმავლობაში მერიის შესაბამის სამსახურებთან და საკრებულოსთან ერთად აქტიურად ვთანამშრომლობდით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან, სამინისტროებთან, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან, საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარ დეპუტატთან, პარლამენტის კომიტეტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ხარაგაულში წელს მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ასევე, რეგიონული განვითარების ფონდიდან, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამიდან და სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფონდიდან მიღებული დაფინანსებით.

ხარაგაულის მერიამ წარმატებით გაართვა თავი იმ ამოცანებს და ვალდებულებებს, რომელიც 2023 წლის დასაწყისში აიღო.

კერძოდ, დაასრულა ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის 16 გარდამავალი პროექტიდან 16- ვე წინსწრებით შესრულდა.

წინსწრებით შესრულებული სამუშაოებმა მუნიციპალიტეტს 1 590 000 ლარი გაუნთავისუფლა, რაც საშუალებას მოგვცემს 2024 წელს დამატებითი პროექტების განხორციელება მოხდეს.

2023 წელს განხორციელებული პროექტებით და დროულად ათვისებული თანხებით ხარაგაული იმერეთის მასშტაბით 12 მუნიციპალიტეტს შორის მოწინავე ადგილზეა.

ხარაგაულელები უშუალოდ სარგებლობენ იმ ინფრასტრუქტურული პროექტებით , რომელიც მაღალი ხარისხით შესრულდა და მოსახლეობის ინტერესებს ემსახურება.

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სოფლებში გზების რეაბილიტაციაა. რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით ჩვენ ბეტონის საფარი დავაგეთ სოფლის მთავარ და საუბნო გზებსა და რთულად გადასაადგილებელი მონაკვეთებზე.

2023 წელს ჩვენ ასეთი 35 მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება შევძელით.

2023 წელი ხარაგაულისთვის გამორჩეული იყო მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტებით.

გაიხსნა რიკოთის მაგისტრალური გზის ახალი 27 კმ-იანი, 4 ზოლიანი მონაკვეთი, რომელიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევთან იწყება და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის დაბა შორაპანთან მთავრდება. ხევი-შორაპნის მონაკვეთი 65 ხიდსა და 38 გვირაბს მოიცავს.

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის, მოლითი-ჩუმათელეთის მონაკვეთის დარჩენილ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გზის მშენებლობისთვის მიმდინარე საერთაშორისო ტენდერი დასრულდა.

ეს საუკუნის პროექტი და ხარაგაულისთვის 2023 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა.

ტენდერში გამარჯვებული კომპანია სამუშაოებს 96 309 131 ლარად შეასრულებს.

გზის რეაბილიტაციის შედეგად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის გზაზე გადაადგილება უსაფრთხო და კომფორტული გახდება. პროექტი სრულიად შეცვლის ხარაგაულის ჩხერიმელას ხეობის მოსახლეობის ცხოვრებას.

საერთო ჯამში სხვადასხვა ფონდებიდან მიღებული თანხით, ხარაგაულში წლის განმავლობაში ათეულობით მილიონი ლარი დაიხარჯა.

მხოლოდ ჩვენ წელს 8 მილიონზე მეტი დავხარჯეთ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

ჩვენი ყოველდღიური მუშაობა შედეგზე ორიენტირებულია.ხარაგაულის მერია მთელი წლის განმავლობაში გამორჩეულ და ზრუნვაზე ორიენტირებულ სოციალურ პროგრამებს სთავაზობდა სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებს.

მიმდინარე წელს ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებით მომსახურება გაეწია 5000 - მდე მოქალაქეს, ცალკე უნდა აღინიშოს, მერიის სოციალური მიმართულების ეფექტური და მოქნილი მუშაობა, რასაც ჩვენი ბენეფიციარების დადებითი უკუკავშირი ცხადჰყოფს.

ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია განათლება და ახალგაზრდების მხარდაჭერა. სწორედ ამიტომ, 2023 წელს ჩვენ ახალი სოციალური პროგრამა შევთავაზეთ საზოგადოებას, რაც წარმატებული სტუდენტების ფინანსურ წახალისებას ითვალისწინებს.

წელს პირველად, ხარაგაულის მერიამ ხარაგაულელ სტუდენტებს , რომლებმაც 2023 წლის, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით სახელმწიფო გრანტი მოიპოვეს, ფულადი ჯილდო გადასცა. ფულადი ჯილდო 100%-იანი, 70 %-იანი და 50%-იანი გრანტის მფლობელებმა მიიღეს.

მიმდინარე წელს აღნიშნული პროგრამით ჩვენ 19 წარჩინებული ახალგაზრდის მოტივირება შევძელით.

ხარაგაულის მერიამ მაღალი კონკურენციის პირობებში შეძლო დაფინანსების

მოპოვება და ხარაგაულის მუნიციპალიტეტი იაპონიის საელჩოს-„ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის (GGP)“ -გამარჯვებული გახდა. გრანტის ფარგლებში ხარაგაულის მერია 167 ათას ლარი მიიღო და აღნიშნული თანხით მიმდინარე წელს ახალი ექსკავატორ-დამტვირთველის (JCB ტრაქტორი) შეძენა მოხდა.

2023 წელს ჩვენ შევძელით 100 ათას ლარიანი გრანტის მოპოვება , ხარაგაულელი ახალგაზრდებისთვის.

გრანტი ევროკავშირის მხარდაჭერით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ორგანიზებით და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პატრონაჟით, პროგრამის „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) – ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი“ (CESL) ფარგლებში დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში მივიღეთ.

100 ათასი ლარის ღირებულების საგრანტო პროექტი ხარაგაულის ინოვაციების ცენტრის ფუნქციურ გაძლიერებას და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვას ითვალისწინებს.

უახლოეს მომავალში ჩვენ გვექნება ახალი ტექნიკით აღჭურვილი ინოვაციების ცენტრი, რაც მოგვცემს ადგილობრივი მოსახლეობისთვის სწავლის შესაძლებლობების ზრდა და გაუმჯობესებას განსაკუთებით ახალგაზრდებისთვის ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით.

2023 წელს ხარაგაულის მერი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) პროექტის - ,,კარგი ფინანსური მმართველობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ ფარგლებში ოფიციალური სამუშაო ვიზიტით გერმანიაში გახლდათ.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში მუნიციპალური ბიუჯეტის მართვასა და ფინანსური ზედამხედველობის თემებზე გერმანული მხარის გამოცდილების და წარმატებული პრაქტიკების გაზიარება მოხდა.

სწორედ ადგილობრივი თუ უცხოური წარმატებული პრაქტიკების გაზიარებით ვცდილობთ გამორჩეული იყოს ჩვენი საქმიანობა.

ჩვენ გვყავს განვითარებაზე ორიენტირებული, საქმისადმი პასუხისმგებლობით გამორჩეული და პრაქტიკული სამუშაო გამოცდილების მქონე საჯარო მოხელეები, რაც მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე წარმატებულად აისახება.

წარმოგიდგენთ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის ამსახველ ანგარიშს, რომელიც მერიაში შემავალი თითოეული სამსახურის უშუალო მონაწილეობით შესრულდა.

2023 წლის განმავლობაში ხარაგაულის მერი საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევდა მერიის 10 სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას.

მუნიციპალიტეტში საკუთარი უფლებამოსილებების ეფექტურად წარმართვის მიზნით ფუნქციონირებდა 9 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განხორციელებული საქმიანობა საანგარიშო პერიოდში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობები შეადგენს 22 447,6 ლარს, მაშინ როცა დამტკიცებული ბიუჯეტით შემოსულობები განისაზღვრებოდა 12 733,0 ათასი ლარით, საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტის შემოსულობები გაზრდილია 9 714,6 ათასი ლარით. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი ხარჯვით ნაწილში შეადგენს 23 856,7 ათას ლარს.

დაფინანსებები გაზრდილია ინფრასტრუქტურის, დასუფთავებისა და გარემოს დაცვის, განათლების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, სოციალური და კულტურის მიმართულებებით.

განვლილ თერთმეტ თვეში მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულია 19 758,1 ათასი ლარის საკასო ხარჯი.

აქედან ინფრასტრუქტურის განვითარებაზე დახარჯულია 7 278,2 ათასი ლარი;

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პროგრამებზე 1 414.5 ათასი ლარი;

განათლების დაფინანსებაზე 3 326,0 ათასი ლარი;

კულტურის, სპორტის, ახალგაზრდული პროგრამების და რელიგიის დაფინანსებაზე 1 880,1 ათასი ლარი,

ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამების დაფინანსებაზე 1 835,0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან სოციალური პროგრამებისა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად განვლილ თერთმეტ თვეში მიმართულია 64,3 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიამ მერის ხელმძღვანელობით საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად დაწესებულ ვადებში შეასრულა ყველა სამუშაო 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის უზრუნველსაყოფად.

2023 წლის 8 დეკემბერს მერიამ საკრებულოს წარუდგინა 2024 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელიც პირველად წარდგენილ

პროექტთან შედარებით გაზრდილია 60,0 ათასი ლარით და შეადგენს 14 928,5 ათასი ლარს.

ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იქნა გენდერული და სამოქალაქო ბიუჯეტირების ასპექტები.

 დადგენილ ვადაში მომზადებულია 2024 -2027 წლების პირველადი პრიორიტეტებისა და საშუალოვადიანი დოკუმენტები.

მიმდინარე წელს მერის ბრძანებით დამტკიცდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ასევე შემუშავდა და მომზადდა 2024-2027 წლების განახლებული პრიორიტეტების დოკუმენტი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიმდინარე წლის 4 ივლისს მიღებული საბიუჯეტო პარამეტრებისა და საშუალოვადიანი პროგნოზების მიღების შემდეგ გაწეული სამუშაოების შედეგად პირველ სექტემბერს მერის ბრძანებით დამტკიცდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ხოლო ოქტომბრის თვეში მიღებული ახალი პარამეტრების შემდეგ შემუშავდა ბიუჯეტის პროექტის ვარიანტი, სადაც გათვალისწინებული იქნა გენდერული და სამოქალაქო ბიუჯეტირების ასპექტები.

მომზადდა 2024-2027 წლების განახლებული პრიორიტეტების დოკუმენტი, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის დადგენილება, რომელიც პროგრამული ბიუჯეტის დანართთან და განმარტებით ბარათთან ერთად გაეგზავნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის 14 ნოემბერს.

პირველი წარდგენის დროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი განსაზღვრული იქნა 14 868,5 ათასი ლარით, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნა საჯარო მოხელეების შრომის ანაზღაურების 10%-იანი ზრდა, ამასთან, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებიდან ამოღებული იქნა სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საბიუჯეტო ცირკულარის ფარგლებში დაიწყო 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის ადმინისტრაციული წარმოება, მოეწყო საჯარო განხილვები და გამოქვეყნდა ბიუჯეტის პროექტი საჯაროდ.

2023 წლის 24 ნოემბერს საკრებულომ მერიას აცნობა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და სხვადასხვა ფრაქციების მიერ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები. რის შემდეგაც მერიამ განაახლა მუშაობა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე, სადაც მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული საბიუჯეტო შენიშვნები და რეკომენდაციები. შენიშვნების გათვალისწინებით გაიზარდა მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების, რელიგიის და სხვადასხვა სოციალური პროგრამების დაფინანსება.

2023 წლის 8 დეკემბერს მერიამ საკრებულოს წარუდგინა 2024 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელიც პირველად წარდგენილ პროექტთან შედარებით გაზრდილია 60,0 ათასი ლარით და შეადგენს 14 928,5 ათასი ლარს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებული ყველა საკითხი არის გამჭვირვალე და საჯარო. ბიუჯეტის პროექტი გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა მოქალაქისათვის.

ხარაგაულის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის განხორციელებული საქმიანობა საანგარიშო პერიოდში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია განაგრძობს აქტიური პოლიტიკის გატარებას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური მიმართულებით 2 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 23 ქვეპროგრამითაა წარმოდგენილი.

ჯანდაცვის მიმართულებით დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გრძელდება მუნიციპალიტეტის დონეზე განსახორციელებელი სახელმწიფო პროგრამები, დასრულდა COVID -19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, გეგმიურად გრძელდება როგორც რუტინული აცრები, ასევე სეზონული გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. მიმდინარე წელს სეზონული გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩაიტარა 1900 პირმა. სიახლეა, რომ 2022 წლიდან დაიწყო გოგონებისთვის პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია,

ხოლო 2023 წლიდან მამაკაცებსაც აქვთ შესაძლებლობა, ჩაიტარონ აღნიშნული აცრა. გრძელდება შიდსისა და C ჰეპატიტის ინტეგრირებული სახელმწიფო სკრინინგ-პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ტესტირება ჩაუტარდა 1500 პირს. დადებითი შედეგი არ დაფიქსირებულა.

სოციალური პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობას21 ქვეპროგრამა ემსახურება . პროგრამა მოიცავს დახმარებას სამედიცინო, მედიკამენტების და გამოკვლევების მიმართულებით. ფინანსურ დახმარებას მრავალშვილიანი და ახალშობილთა ოჯახებისთვის, მარტოხელა მშობლების, მარჩენალდაკარგული, რეინტეგრირებული პირებისთვის, ხანდაზმულებისთვის, სოციალურად დაუცველი, უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის. ფინანსურ დახმარებას სტიქიის შედეგად ან სიძველით დაზიანებული საცხოვრებელი სახლების შესაკეთებლად. სადღესასწაულო დღეებში მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პირების დახმარებას, ყოველთვიურ დახმარებას შშმ პირთა, სამამულო ომის ვეტერანების, დევნილების და უსინათლოებისათვის. ძალადობის მსხვერპლთა და უსახლკაროთა ბინის ქირით უზრუნველყოფას. ძალადობის მსხვერპლთა ფსიქოსოციალური მომსახურების დაფინანსებას, არასრულწლოვანთა დახმარებას, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარებას, უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით დახმარებას, უფასო სასადილოს დაფინანსებას. ადრეული განვითარების და შინმოვლის სახელმწიფო ქვეპროგრამის ხელშეწყობას, საგრანტო პროექტების ხელშეწყობას.

2023 წელს პროგრამებში გათვალისწინებული იქნა ახალი მომსახურებების დაფინანსება:

- იშვიათი დაავადების მქონე 1 წლამდე ასაკის ბავშვების სპეციფიკური საკვებით უზრუნველყოფა 3000 ლარამდე;
- აუტისტური სპექტრის დიაგნოსტიკა და თერაპიის დაფინანსება 2000 ლარამდე;
- მარჩენალდაკარგული და რეინტეგრირებული პირების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით 21 წლის ასაკამდე. აქამდე დახმარება გაიწეოდა წელიწადში ერთხელ 100 ლარის ოდენობით;
- ინვიტრო განაყოფიერების დაფინანსებას უშვილო წყვილისთვის 4000 ლარამდე;

- დაუნის სინდრომის და აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე პირების დახმარება 200 ლარით, რაც აქამდე განისაზღვრებოდა 100 ლარით;

- ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეთა დახმარება 200 ლარის ოდენობით (აქამდე არსებული 100 ლარის ნაცვლად).

•არასრულწლოვანთა დახმარების ქვეპროგრამა, რომელიც გულისხმობს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობას და ოჯახის გაძლიერებაზე ზრუნვას; 2023 წელს ბავშვთა განყოფილებაში განხილულია 24 ქეისი. საერთო ჯამში მოკვლეულია 60 ბავშვის მდგომარეობა, რომლებიც შეფასებულია ბავშვთა სოც მუშაკის მიერ და შევსებულია სკრინინგის ფორმები. ამ დროის მონაცემებით, პროგრამიდან ფინანსური დახმარება 17-მა ოჯახმა მიიღო.

- კომისიურ ფორმატში იხილება ერთჯერადი ფინანსური დახმარებისა და სტიქიური უბედურებების ან სიძველის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა განცხადებები. კომისიაში ჩართულნი არიან სახვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები, რათა მიღებული გადაწყვეტილებები იყოს მეტად გამჭვირვალე და ობიექტური.

- უსახლკარო პირთა და ძალადობის მხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფას 2023 წლიდან იმ პირის ბინის ქირით უზრუნველყოფა დაემატა, რომელიც ცხოვრობს მომეტებული საფრთხის ქვეშ და ექვემდებარება საცხოვრებელი ადგილიდან გაყვანას.

- გასულ წელს უფასო სასადილოს ინფრასტრუქტურა მოეწყო თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, შეძენილი იქნა ინვენტარი. ბენეფიციართა რიცხვი 142-დან 160-მდე გაიზარდა.

გაფართოვდა მომსახურების არეალი, სასადილო კვირაში ორი დღე მზა საკვების ადგილზე მიტანით ემსახურება ახლომდებარე ადმ. ერთეულებში (საღანძილე, ბაზალეთი, ფარცხნალი, ლაშე) ბენეფიციარებს. ასევე, მიმართვების საფუძველზე საკვები პროდუქტით დახმარება გაიწევა სხვა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე.

- მერია ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში საგრანტო პროექტების განხორციელებას. მერიასა და თაირისს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე საგრანტო პროექტის დასრულების შემდეგ შენარჩუნებულია ბავშვთა ადრეული განვითარების ჯგუფური თერაპია და ლოგოპედის მომსახურება.

- 2022-2023 წლებში ევროკავშირის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტის მერიის და ასოციაცია ანიკას ურთიერთთანამშრომლობით ა(ა)იპ ნაბიჯი ხარაგაულის მიერ მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელდა ახალი პროექტი, რომელიც მოიცავდა შინმოვლის ინტეგრირებულ პროექტს, პროექტის ფარგლებში მომსახურებას იღებდა 50 ბენეფიციარი. სერვისის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით მიმდინარეობს მუნიციპალური ააიპ-ის მიმწოდებლად რეგისტრაციის სამართლებრივი პროცედურები.

- მერია თანამშრომლობს საქართველოს წითელ ჯვართან, რომელმაც მუნიციპალიტეტში არაერთი აქტივობა განახორციელა.

- ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრთან 2023 წ. გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ძალადობაგამოვლილ ქალებსა და გოგოებს მიეწოდებათ საჭირო მომსხურება.

ჩვენი ინფორმაციით, დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ წელს საანგარიშო პერიოდში 23 ეკომიგრანტი ოჯახი დააკმაყოფილა საცხოვრებელი სახლით, მიმდინარე განხილვის პროცესშია 57 ოჯახი.

მუდმივად განახლებადი და მზარდია დაფინანსება საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში. სერვისები უფრო მოქნილი და ყველასთვის ხელმისაწვდომია. ხარაგაულის მუნიციპალურ სამსახურებში, სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების პროგრამით წელს 1370 პირია დასაქმებული.

ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა საანგარიშო პერიოდში

2023 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რეგიონალური განვითარების პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ჯამში 4 773 640 ლარი გამოეყო, დაფინანსდა 35 პროექტი.

დაფინანსებული 35 პროექტიდან 15 გარდამავალი 2023-2024 წლების პროექტები გახლდათ.

აღსანიშნავია, რომ ტენდერების გამოცხადება მოხდა ძალიან სწრაფად, შესაბამისად სწრაფადვე მოხდა ხელშეკრულებების გაფორმება. რის გამოც

მუნიციპალიტეტმა მიიღო დამატებით ბონუსი ტენდერებიდან წარმოქნილი ეკონომიებთან ერთად რამაც საშუალება მოგვცა განგვეხორციელებია დამატებით 1 პროექტი (სოფელ ლეღვანში ეკლესიის უბნის გზის რეაბილიტაცია). აღნიშნული გამოწვეულია მერიის შესაბამისი სამსახურების კარგი მუშაობის შედეგად, კერძოდ: საჭიროებისამებრ დროულად მოხდა პროექტების გამოყოფა, გადაფასება და სატენდეროდ მომზადება. შერჩეული 35 პროექტიდან 32 პროექტი დასრულებულია, 2 პროექტზე მიმდინარეობს სამუშაოები და დასრულდება წლის ბოლომდე.

პროექტების მიმდინარეობისას, სამსახურის და კომისიის მიერ აქტიურად მიმდინარეობდა ზედამხედველობა როგორც ხელშეკრულების ვადების, ასევე ხარისხის დაცვის მიზნით. ვადის დარღვევისთვის დაჯარიმდა 3 კომპანია, ჯამში 5 042 ლარით, რომელიც ჩაირიცხა ხაზინაში. ასევე ხარისხის კონტროლისას გამოვლენილი ხარვეზის გამო უხარისხოდ ცნობილი იქნა 300 მ2 (კვმ) -ამდე ბეტონის გზა რომელიც დაიგო განმეორებით. აუცილებლად აღსანიშნავია ფაქტი რომ 15 პროექტიდან რომლებიც უნდა დასრულებულიყო 2024 წელს 15 -ვე შესრულდა წინსწრებით 2023 წელში. წინსწრებით შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 1 590 000 ლარამდე, აღნიშნული თანხის გამოყოფაზე მოთხოვნა უკვე წარდგენილია შესაბამის უწყებაში, მუნიციპალიტეტს 2024 წელს გაუნთავისუფლდება 1 590 000 ლარი, რაც საშუალებას მოგვცემს მოხდეს დამატებითი პროექტების განხორციელება. ამ ეტაპზე საკასო თანხა შეადგენს 90,8%-ს, საკასოთი დასრულებული პროექტების პროცენტი კი 85,71% რაც იმერეთის მასშტაბით არსებულ 12 მუნიციპალიტეტიდან მოწინავე ადგილზეა. აქტიურად მიმდინარეობს ახალი პროექტების დაგეგმვა-მომზადების პროცესი 2024 წლისათვის, განსახორციელებელი პროექტების მოწონება უკვე მოხდა საკრებულოს მიერ. რამდენიმე წლიანი წარმატებით განხორციელებული პროექტების გამო მუნიციპალიტეტს მომავალი წლის ლიმიტი გაეზარდა 26%-ით რაც საშუალებას იძლევა მოხდეს დამატებით პროექტების განხორციელება. აღნიშნული ზრდის პროცენტით ხარაგაული მოწინავეა მუნიციპალიტეტებს შორის.

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მაქათუბანის ორ უბანში გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი) - 138,055.00 ლარი;

2. სოფელ ბაზალეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია (მესხების უბანი) - 43,513.00 ლარი;

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხნალში ბარის უბნის გზის რეაბილიტაცია (III ეტაპი) - 48,473.00 ლარი;

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ უჩამეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია (მესერიძეების უბანი) - 102,486.00 ლარი;

5. სოფელ ლაშეში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ცქიტიშვილების უბანი) - 54,920.00 ლარი;

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდარში საუბნო გზის რეაბილიტაცია - 133,662.00 ლარი;

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ უჩამეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია (მესერიძეების უბანი) II-ეტაპი - 52,861.00 ლარი;

8. სოფელ ხორითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 334,000.00 ლარი;

9. სოფელ წყალაფორეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია - 190,813.00 ლარი;

10. სოფელ ნებოძირში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 259,999.00 ლარი;

11. სოფელ დეისის გზის რეაბილიტაცია (მეორე უბანი) - 122,371.00 ლარი;

12. სოფელ უბისაში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა - 22,930.00 ლარი;

13. სოფელ მარელისში გზის რეაბილიტაცია (ქურდაძეების უბანი) - 250,000.00 ლარი;

14. სოფელ მაქათუბანში გზის რეაბილიტაცია (წიქარიშვილების უბანი) - 46,837.00 ლარი;

15. სოფელ ხუნევში გზის რეაბილიტაცია (გუბათის უბანი) - 216,952.00 ლარი;

16. სოფელ ხიდარში გლუნჩაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია - 88,876.00 ლარი;

17. სოფელ ბრუისში გზის რეაბილიტაცია - 49,777.00 ლარი;

18. სოფელ წიფში გზის რეაბილიტაცია - 142,999.00 ლარი;

19. სოფელ საღანძილეში იჩქიტიძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია - 200,222.00 ლარი;

20. დაბა ხარაგაულში დევდარიანის ქუჩის რეაბილიტაცია - 118,905.00 ლარი;

21. სოფელ ფარცხნალში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ეკლესიის უბანი) - 220,724.00 ლარი;

22. სოფელ თეთრაწყაროში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ვეფხვაძეების უბანი, ხანდები) - 175,252.00 ლარი;

23. სოფელ ბაზალეთის, სოფელ წყალაფორეთის, სოფელ ვარძიის და კიცხი-ხიდარის დამაკავშირებელი ა/ბეტონის საფარიანი გზების რეაბილიტაცია 362,767.00

24. სოფელ ჭარტალში გზის რეაბილიტაცია - 155,885.00 ლარი;

25. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სოფელ ლეღვანში ეკლესიის უბნის გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა - 110,360.00 ლარი;

26. სოფელ სარგვეშის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა - 100,000.00 ლარი;

27. სოფელ ამაშუკეთში სახიდე გადასასვლელის მოწყობა - 98,907.00 ლარი;

28. სოფელ მარელისში გზის რეაბილიტაცია (ქურდაძეების უბანი II ეტაპი) -100,000.00 ლარი;

29. სოფელ უბისაში საუბნო გზის რეაბილიტაცია - 150,000.00 ლარი;

30. სოფელ ლახუნდარაში გზის რეაბილიტაცია (კავილაძეების უბანი) - 150,000.00 ლარი;

31. სოფელ ვარძიაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ახალ სკოლასთან) - 80,000.00 ლარი;

32. სოფელ კიცხში ოქრომჭედლიძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია - 110,000.00 ლარი;

33. სოფელ კიცხში საუბნო გზის რეაბილიტაცია - 150,000.00 ლარი;

34. სოფელ სარგვეშში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ხვიჩა მუმლაძის უბანი) - 80,001.00 ლარი;

35. სოფელ ლაშეში საუბნო გზის რეაბილიტაცია - 111,093.00 ლარი;

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი

2023 წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 468 041 ლარი გამოეყო, დაფინანსდა 2 პროექტი:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ გედსამანიაში, ბლიაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია - 168, 041, 00 ლარი;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფის გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა - 300, 000, 00 ლარი;

სოფელ წიფის პროექტზე გაფორმდა გარდამავალი ხელშეკრულება რომლის ჯამურმა ღირებულებამ მიაღწია 690 263 ლარს, 2023 წელს უნდა მომხდარიყო 468 041 ლარის ღირებულების სამუშაოების განხორციელება 2024 წელს კი დასრულებულიყო პროექტი. სამუშაოების განხორციელება მოხდა წინსწრებით სრულად ნაცვლად 468 041 ლარისა შესრულდა 690 263 ლარის სამუშაო, რამაც მუნიციპალიტეტს საშუალება მისცა 2024 წელს მოხდეს დამატებით სხვა პროექტების განხორციელება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები

2023 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტს პროექტების განსახორციელებლად გამოეყო 890 000 ლარი, სამუშაოების მოცულობების გაზრდის მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდა თანადაფინანსება 197 016 ლარი, ჯამში სოფლის პროექტების ღირებულებამ შეადგინა 1 087 016 ლარი. პროექტების შერჩევის მიზნით ყველა სოფელში ჩატარდა კრებები. მოსახლეობის მიერ შეირჩა 167 პროექტი, მათ შორის გზების 40 პროექტი - 224 000 ლარი, გარე განათების 34 პროექტი - 225

500 ლარი, წყლის სისტემები 36 პროექტი – 154 100 ლარი, რამდენიმე სოფელმა მოსახლეობის თხოვნით მოითხოვა 1 საერთო პროექტის განხორციელება რომელიც ითვალისწინებდა ამბულატორიის მშენებლობას 58 000 ლარი. 17 პროექტი სასაფლაოს კეთილმოწყობა 92 000 ლარი, სხვადასხვა კატეგორიის 39 პროექტი. ამ ეტაპზე 166-ვე პროექტზე სამუშაოები დასრულებულია. სამსახურმა ხარისხის კონტროლის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავა წესი, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოების ჩაბარებისას, კომისის მიერ ობიექტის შემოწმებას ესწრება მოსახლეობა და სოფლის დეპუტატი რომლებიც ხელს აწერენ ადგილზე შედგენილ აქტს.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფონდი

2023 წელს სტიქიამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მუნიციპალიტეტს. დაზიანდა როგორც კერძო საკუთრებები, ასევე საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურული ობიექტები. თანხის გამოყოფა მოხდა რამდენიმე ეტაპად ჯამში 1 270 000 ლარი. ხორციელდება 11 პროექტი, რომელთაგან 8 პროექტი დასრულებულია საკასო ხარჯით. 1 პროექტზე მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმების პროცესი, 2 პროექტზე მიმდინარეობს ტენდერი. 2023 წელს თებერვლის თვის დიდთოვლობის შედეგად 1 მოქალქეს დანგრეული სახლის, ხოლო 23 მოქალაქეს დაზიანებული სახურავის მასალები (ხემასალა, თუნუქი) გადაეცა, ასევე სექტემბერში მოსული სტიქიის შედეგად დაზიანებულ 11 მოქალაქეს გადაეცა სახურავის დასახურად თუნუქი რომელსაც აწყობენ საკუთარი ძალებით. დანგრეული სახლი უკვე აღდგენილია სრულად.

1. დაბა ხარაგაულში , სოლომონ მეფის ქუჩა N56 - ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავის გადახურვის სამუშაოების შესყიდვა - 100,000 ლარი;

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავის შესყიდვა - 55,470,00 ლარი;

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლკების სახურავების ხის მასალების შეძენა - 110, 000 ლარი;

4. დაბა ხარაგაულში , ანზორ კიკნაძის ქუჩა N21 - ში ამხანაგობა ,,რკინიგზელების“ საცხოვრებელი შენობის სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავის გადახურვის სამუშაოების შესყიდვა - 24,780 ათასი ლარი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავისთვის საჭირო მასალების შესყიდვა - 6,500 ლარი;

6. დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქუჩაზე, საზოგადოებრივი ცენტრის მიმდებარედ სტიქიისაგან დაზიანებული გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა - 33,650, 06 ლარი;

7. სოფელ ლეღვანში, ჩიხლარის უბანში სტიქიის შედეგად დაზიანებული სანიაღვრე არხის აღდგენის სამუშაოების შესყიდვა - 6,065,00 ლარი;

8. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების ხის მასალების შესყიდვა - 26,070,00 ლარი;

9.ხარაგაულში კინოთეატრის მიმდებარედ მდინარე ჩხერიმელას ნაპირის დამცავი კედლის მოწყობისა და კინოთეატრის დაზიანებული კედლის აღდგენა/რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა - 664,418,00 ლარი;

10. სოფელ ლეღვანში ჭინალის უბანში საყრდენი კედლის მოწყობა - 164,603, 000 ლარი;

11. დაბა ხარაგაულში ო.აბაშიძისა და კიკნაძის ქუჩაზე საყრდენი კედლების მოწყობა - 119,070,00 ლარი;

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები

2023 წელს სკოლების მცირე რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი თანხით, 153 843 ლარით განხორციელდა 2 სკოლის რეაბილიტაცია. ორივე ობიექტზე სამუშაოები დასრულებულია.

1. სარგვეშის საჯარო სკოლაში კარ-ფანჯრის გამოცვლა - რეაბილიტაცია - 122,311.51 ლარი;

2. მოლითის საჯარო სკოლაში სპორტული მოედნის დაზიანებული საყრდენი კედლების გამაგრება და რეაბილიტაცია - 31,530.78 ლარი;

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა

2023 წელს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფონდში ხარაგაულის მუნიციპალიტეტს წარდგენილი პროექტებიდან გრანტი მოპოვებულია 1 პროექტზე, ჯამში 100 000 ლარი. აღნიშნული პროექტი მოიცავს ინოვაციების ცენტრის აღჭურვას თანამედროვე ტექნიკით. მიმდინარეობს თანხის გამოყოფის პროცესი, თანხის გამოყოფისთანავე დაიწყება ტექნიკის შესყიდვა.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტები

2023 წელს ადგილობრივი დაფინანსებით ძირითადად განხორციელდა საპროექტო სამუშაოები და სტიქიის შედეგად დაზიანებული გადაუდებელი აუცილებლობით აღსადგენი ობიექტები:

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა - 54,325.28 ლარი;

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სოფელ ლაშეში (შავიძეების უბანი) სტიქიის შედეგად დაზიანებული სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 9,008.38 ლარი;

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ საქარიქედში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 4,928.00 ლარი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დაბაში ეროვნული დროშის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 19,942.00 ლარი;

5. სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ სარგვეშის საჯარო სკოლაში კარ-ფანჯრების რეაბილიტაციის სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით საინჟინრო მომსახურების შესყიდვა - 3,708.00 ლარი;

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გზების მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით საინჟინრო მომსახურების შესყიდვა - 10,440.00 ლარი;

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ სარგვეშში წყალმომარაგების სისტემის მოსაწყობად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით, საინჟინრო მომსახურების შესყიდვა - 11,025.00 ლარი;

8. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სოციალური პირობების გაუმჯოსების მიზნით და მგზავრობის შეღავათიანი ტარიფების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მძღოლთან ერთად მომსხაურების შესყიდვა დანართი N1-ის შესაბამისად. (ხარაგაული - სოფელი ზვარე - ხარაგაული) - 7,800.00 ლარი;

9. დაბა ხარაგაულში, სტიქიის შედეგად დაზიანებული კინოთეატრის შენობისა და მიმდებარე დამცავი კედლის აღსადგენად საჭირო პროექტირებისთვის, მდინარე ჩხერიმელას კალაპოტის ფორმირება - 16, 704.00 ლარი;

10. მიმდინარე წლის 20-22 ივნისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მოსული უხვი ნალექის შედეგად, სოფელ ვარძიასა და სოფელ უბისაში ღვარცოფისაგან ამოვსებული ღელის კალაპოტების გაწმენდა - 9,943.00 ლარი;

ადგილობრივი ბიუჯეტის თანხები მობილიზებული იქნა თანადაფინანსებებშიც: 197 ათასი ლარით დაფინანსდა სოფლის მხარდაჭერის პროექტები.

სამოქალაქო ბიუჯეტი

მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიგეგმა ინოვაციური პროგრამის ,,სამოქალაქო ბიუჯეტი“-ის განხორციელებაც, მოქალაქეების მიერ ხმის მიცემის პრინციპით, მოხდა პროექტების შერჩევა, გამარჯვებული პროექტებისთვის საპროექტო დუკუმენტაციის მომზადების მიზნით გამოცხადდა ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ მოახდინა დოკუმენტაციის მოწოდება. მიმწოდებელმა დაგვიანებით წარმოადგინა დოკუმენტაცია რომელიც გაცილებით აღემატებოდა ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ თანხებს, რაზეც ეცნობა შემსრულებელს და დაეკისრა შესაბამისი პირგასამტეხლო. მოხდა საჭირო კორექტირება და განმეორებით

მოწოდება მუნიციპალიტეტისათვის. ამ ეტაპზე მიმდინარეობს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, ასევე მოხდება პროექტის იდეის ავტორებთან შეთანხმება რის შემდეგაც დაიწყება პროექტების განხორციელება. აღნიშნული ფაქტი ვერ შეაფერხებს პროექტის მიმდინარეობას 2024 წელს მოხდება ახალი პროექტების შერჩევა და განხორციელება.

მუნიციპალური განვითარების ფონდი და საავტომობილო გზების დეპარტამენტი

მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა მუნიციპალური განვითარების ფონდთან და საავტომობილო გზების დეპარტამენტთან. დასრულების ეტაპზეა სამუშაოები ხარაგაული-კიცხი-ზესტაფონის დამაკავშირებელ გზაზე ღირებულება 14 000 000 ლარი. დასრულდა I ეტაპის, წინასწარი სამუშაოები დაბა ხარაგაულში კანალიზაციის სისტემის მშენებლობაზე-1 890 360 ლარი. მიმდინარეობს 2 ეტაპიანი უწყვეტი წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები რაც ჯამში-6 მილიონამდე ლარს შეადგენს. სამუშაოების წარმოებისას, დაზიანდა ადგილობრივი გზები, რის შესახებაც წერილობით ეცნობა სამუშაოების დამკვეთ უწყებას, საიდანაც ასევე მიღებულია წერილობითი პასუხი დაზიანებული გზების პირვანდელი სახის დაბრუნების შესახებ. სოფელ კიცხში ახალი ბაღის მშენებლობისთვის განისაზღვრა 1 278 333 ლარი. დასრულდა ტენდერი და სამუშაოები დაიწყება ძირულა-ხარაგაული-ფონა-ჩუმათელეთის 25 კილომეტრიან მონაკვეთზე, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 96 309 126 ლარია. სამუშაოებს ანხორციელებს შპს,,ნიუ როუდი“ სამუშაოები 24 თვეში უნდა დასრულდეს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტოპოგრაფიული სამუშაოები. ასევე გაფორმდა ხელშეკრულება ლიჩი-ნადაბურის დამაკავშირებელ გზის მშენებლობაზე, პროექტის ფარგლებში სოფ ნადაბურში მოეწყობა ხიდი და გზა, აღნიშნული პროექტი დააკავშირებს 2 მუნიციპალიტეტს სამუშაოებისს ღირებულება შეადგენს 9 876 999 ლარს. სხვადასხვა უწყებებიდან, ჯამში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა და გარდამავლად მიმდინარეობს 123 354 818 ლარის სამუშაოები.

ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური განიხილავს მოქალაქეებიდან შემოსულ განხადებებს საანგარიშო პერიოდში შესწავლილია

და შესაბამისი რეაგირება მოყვა 1 630 განცხადებას, სამსახური ორგანიზებას უწევს მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურეობის საკითხებს, ტრანსპორტი ემსახურება დაბა ხარაგაულს სავადმყოფოს და რკინიგზის სადგურის მიმართულებით, ვანის,ვახანის, ხევს, ხუნევს, ნადაბურს, ზვარეს, მოლითს და მიმდებარე სოფლებს. სამსახური ასევე იღებს მონაწილეობას მოსწავლეების ტრანსპორტით მოსახურების საკითხებში, მუნიციპალიტეტის ყველა სკოლას ემსახურება ტრანსპორტი 322 მიმართულებაზე რაც თვეში საშუალოდ 129 ათასი ლარის ღირებულებისაა.

სამსახურის სპეციალისტები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტში შექმნილ სხვადასხვა კომისიების და სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში, კოორდინაციას უწევენ გაზიფიცირებისა და ელექტრო ენერგიის გამრიცხველიანებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებს (მუნიციპალური საჭიროებებისათვის).

ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური, მერის დავალებების შესრულების მიზნით, მოქმედებს სამსახურის დებულების შესაბამისად. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას კოორდინირებულად მოქმედებს მერიის სხვა სამსახურებთან, მჭიდროდ თანამშრომლობს საკრებულოსთან და საკრებულოს შესაბამის კომისიასთან, აწარმოებს ოპერატიულ თანამშრომლობას სამხარეო ადმინისტრაციისა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან.

საბოლოოდ 2023 წელს, დაფინანსებული პროექტები შესრულება გამოიყურება შემდეგნაირად: რგპფ--90,08% ; სოფლის პროგრამა--100% ; სკოლა-100%

მთის ფონდი-100%

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის მიმართულებით გაწეული საქმიანობა საანგარიშო პერიოდში

საანგარიშო პერიოდში ელექტრონული პროგრამის მეშვეობით ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურში განსახილველად და შესაბამისი რეაგირების მოხდენის მიზნით შემოსული არის 407 ერთეული წერილი სხვადასხვა უწყებებიდან და ფიზიკური პირებიდან, ყველა წერილი შესწავლილი და პასუხგაცემულია სამსახურის მიერ, მომზადდა მერის სამართლებრივი აქტების (ბრძანების) 145 პროექტი, 911 ერთეული გასაგზავნი წერილების

პროექტები, ხოლო მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან შემოსული არის 40 ერთეული შიდა წერილი და მათთან გაგზავნილი კი 94 ერთეული, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განხორციელდა 169 რეგისტრაცია, რომელიც მოიცავს უძრავი ქონების რეგისტრაციას, რეგისტრირებული ფართების საზღვრების კორექტირება- დაზუსტებას და უძრავი ქონების დაყოფას.

მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს ინვენტარიზაციის პროცესი.სამსახურის მიერ მოძიებული იქნა და დარეგისტრირებული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელიც არ წარმოადგენდა საკუთრებას და შესაძლებელი არის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყენებული იქნას თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებელი შემოსულია 157 791 ლარი, რომელიც გაზრდილია გასულ წელთან შედარებით 38474 ლარით.

საანგარიშო პერიოდში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უძრავი ქონებიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წინაშე დაყენებულია საკითხები რომლებზედაც მიმდინარეობს საქმის წარმოება.

გაფორმდა უასასყიდლო უზუფრუქტის 6 ხელშეკრულება, რომლებიც დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, თხოვების წესით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ,,დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას“ გადაეცა ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალება - ექსკავატორი.

საანგარიშო პერიოდში პირდაპირი განკარგვის წესით გაფორმდა 3 იჯარის ხელშეკრულება, ხოლო დღეის მდგომარეობით სულ გაფორმებული არის 16 იჯარის ხელშეკრულება. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე მოხდა სოფელ ხიდარში მდებარე სარიტუალო დარბაზის წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრა ექსპერტიზის მიერ, რომელზეც გამოცხადდა

ელექტრონული აუქციონი, თუმცა აუქციონი არ შედგა. საანგარიშო პერიოდში შემოსულია იჯარის გადასახადი 39 793 ლარი. მოიჯარეებიდან იჯარის ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში ეგზავნებათ წერილები გადაუხდელი ქირის გადახდის მიზნით.

სამსახური მუნიციპალიტეტის მერიაში იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან შემოსული წერილების საფუძველზე, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული თუ დასარეგისტრირებელი ქონების განკარგვას ,,ქონების მართვის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ, მერის წარმომადგენლების დახმარებით ახდენს მოკვლევას და შესწავლას ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის შესახებ და წერილობით ინფორმაციას აწვდის იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციას. საანგარიშო პერიოდში შესწავლა და მოკვლევა მოხდა 12 წერილზე.

სამსახური ასევე ამზადებს აუქციონის მასალებს და ვებ.გვერდზე www.eauction.ge აცხადებს ელექტრონულ აუქციონს, საანგარიშო პერიოდში ქონების პრივატიზებაზე გამოცხადდა 5 ელექტრონული აუქციონი.

სამსახურს კომუნიკაცია აქვს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მომრავლებულ გარეულ ცხოველთა რეგულაციის თაობაზე, აღნიშნულ საკითხზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ 2022 წლის 12 ოქტომბერს გამოცემული ბრძანება N2-757 დაურიგდა მერის წარმომადგენლებს, რომელშიც გასაზღვრულია ცხოველთა იმ სახეობის ჩამონათვალი, რომელთა რაოდენობის რეგულირების ღონისძიება მუნიციპალიტეტებმა შესაძლებელია განახორციელონ სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, ხოლო მერის წარმომადგენლები აღნიშნულ საკითხს ადგილზე გააცნობდნენ ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოსახლეობას, თუმცა გარემოდან გარეულ ცხოველთა ამოღების თაობაზე მოსახლეობიდან მერიაში შეტყობინება არ შემოსულა.

გარემოს ეროვნული სააგენტო, ყოველ სამ დღეში ერთხელ გვიგზავნის პროგნოზს, მოსალოდნელი ამინდის და სტიქიური მოვლენების შესახებ და საფრთხის არსებობის შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაციას გავრცელების მიზნით ვაწვდით როგორც მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას ასევე მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში.

სამსახურის ინიციატივით საანგარიშო პერიოდში 4 -ჯერ გაიმართა დასუფთავების აქცია, რომელშიც ჩაერთნენ მერიის საჯარო მოსამსახურეები, ა(ა)იპ ,,დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ თანამშრომლები და საჯარო სკოლები.

მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებელთან დაკავშირებით დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურთან შეთანხმებით ვახდენთ იმ იურიდიული პირების მოკვლევას რომლებიც წარმოქმნიან ნარჩენს, მიეწოდებათ დასუფთავების სერვისი და მათ მიერ წარმოქმნილი ნარჩენების მოსაკრებლის გადახდასთან დაკავირებით ვუფორმებთ დასუფთავების ხელშეკრულებებს. რიგი იურიდიული პირების მოთხოვნის საფუძველზე ხდება მიღება_ჩაბარების აქტების პროექტების მომზადება, გაფორმება და დაგზავნა, რომლის საფუძველზეც იხდიან დასუფთავების გადასახადს. სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხების კომისიასთან.

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წელს სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით გაწეული საქმიანობა საანგარიშო პერიოდში

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მერიამ სახელმწიფო შესყიდვები განახორციელა სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში http://procurement.gov.ge/-ზე რეგისრტირებული ელექტრონული წლიური გეგმის P220002665 საფუძველზე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ საანგარიშო პერიოდში, ელექტრონული ტენდერების ჩატარების შედეგად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე შეთანხმების საფუძველზე, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ მიმწოდებლებთან ჯამში სხვადასხვა საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესრულების შესყიდვაზე მიმწოდებლებთან გააფორმა 230 (ორას ოცდაათი) ხელშეკრულება.

ხარაგაულის მუნიუციპალიტეტის მერიამ საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით ჯამში განახორციელა 10 278 016.08 (ათი მილიონ ორას სამოცდათვრამეტი ათას თექვსმეტი ლარი და რვა თეთრი) ლარის შესყიდვა.

მათ შორის:

1) ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელდა 7 809 791.41 (შვიდი მილიონ რვაას ცხრა ათას შვიდას ოთხმოცდათერთმეტი ლარი და ორმოცდაერთი თეთრი) ლარის შესყიდვა. (ელექტრონულ ტენდერებზე სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების სწორად წარმართვის შედეგად და ტენდერებში მონაწილე პრეტენდენტების მიერ შესყიდვის ობიექტზე ფასების კლების შედეგად ჯამში სახელმწიფო ბიუჯეტში ეკონომია დარჩა 987 412 (ცხრაას ოთხმოცდაშვიდი ათას ოთხას თორმეტი) ლარი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში ეკონომია დარჩა 154 250 (ას ორმოცდათოთხმეტი ათას ორას ორმოცდაათი) ლარი.

2) კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელდა 1 233 472.83 (ერთი მილიონ ორას ოცდაცამეტი ათასი ლარი და ოთხას სამოცდათორმეტი ლარი და ოთხმოცდასამი თეთრი) ლარის შესყიდვა.

3) გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდა 33 204 (ოცდაცამეტი ათას ორას ოთხი) ლარის შესყიდვა.

4) მონეტარული ზღვრების დაცვით განხორციელდა 117 915 (ას ჩვიდმეტი ათას ცხრაას თხუთმეტი) ლარის შესყიდვა.

5) საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების მონაწილეობით, განხორციელდა (სოფლის განვითარების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში) 1 045 714.84 (ერთი მილიონ ორმოცდახუთი ათას შვიდას თოთხმეტი ლარი და ოთხმოცდაოთხი თეთრი) ლარის შესყიდვა.

6) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა 8 300 (რვა ათს სამასი) ლარის შესყიდვა.

7) ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელები 29 618 (ოცდაცხრა ათას ექვსას თვრამეტი) ლარი.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ გაფორმებული ყველა ხელშეკრულება, ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში იტვირთება და რეგისტრირდება http://www.procurement.gov.ge/ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. სისტემაში რეგისტრირებულ ხელშეკრულებებზე ეტაპობრივად იტვირთება ხელშეკრულების საფუძველზე ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების ან/და მოწოდებული საქონლის შესახებ წარმოებული დოკუმენტაცია, მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი, კონტროლის ჯგუფის დასკვნა, ექსპერტიზის დასკვნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ანგარიშფაქტურები, ურთიერთშეთანხმების აქტ(ებ)ი, წერილები, მოხსენებითი ბარათები და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები, ხოლო დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ ეტაპობრივად ენიჭება შესრულებული ან შეუსრულებელი ხელშეკრულების სტატუსი.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიას ეტაპობრივად წარვუდგენთ მათ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და დოკუმენტაციას როგორც ელექტრონულ ფოსტებზე ასევე ctd.spa.ge სისტემის საშუალებით. ეტაპობრივად ვახორციელებდით მუნიციპალიტეტისათვის საჭირო საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესრულების შესყიდვის შეთანხმებას და სრულად ვითვალისწინებდით მათ მიერ გაცემულ რეკომენდაციებს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას.

კულტურის, განათლების , სპორტის და ახალგაზრდობის მიმართულებით გაწეული საქმიანობა საანგარიშო პერიოდში

უკვე მრავალი წელია მერიის კულტურის სამსახურის ხელშეწყობით ხდება ახალგაზრდების ინიციატივების დაფინანსება .

მერიის ხელშეწყობით ახალგაზრდა სპორტსმენები იმყოფებოდნენ მარტვილში გამართულ შეკრებაზე. ასევე მერიის დაფინანსებით, ხარაგაულის მე-3 საჯარო სკოლის და მარელისის სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო პროექტში ,,დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“, რომელიც ქალაქ ზუგდიდში გაიმართა.

27 მარტს მერიის კულტურის სამსახურის ორგანიზებით თეატრის საერთაშორისო დღე აღინიშნა. დაჯილდოვდნენ თეატრის ღვაწლმოსილი მსახიობები. ნაჩვენები იქნა სპექტაკლი ,,მაცეკვე ტანგო“.ჩვენებას დაესწრნენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების უფროსკლასელები.

მთელი წლის მანძილზე მერიის კულტურის სამსახურის მიერ გაიმართა სხვადასხვა სახის ღონისძიებები.

სამსახური უკვე მრავალი წელია წარმატებით უწევს ორგანიზებას სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალური თამაშებს. ყოველ წელს მერიის დაფინანსებით, ხდება მოთამაშეებისთვის ფორმების შეძენა და ტრანსპორტირების ხარჯის დაფინანსება. 2023 წელს სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში 21 საჯარო სკოლის 850 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

ბავშვები მონაწილეობას ღებულობენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში: მინი ფეხბურთი, კალათბურთი, გეზრბენი, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, ბადმინტონი, სპორტულ - შემეცნებითი და მხიარული სტარტები.

სასკოლო ოლიმპიადის მუნიციპალური ეტაპი დასრულდა, გამარჯვებული გუნდები რეგიონალურ ტურნირში 2024 წლის გაზაფხულზე ჩაერთვებიან.

რამდენიმე წელია უკვე ახალგაზრდების ინიციატივით ტარდება სოფლებში ჩემპიონატი დოღში. აღსანიშნავია ახალგაზრდების დაინტერესება დოღით და მათი მიღწევები.

წელს კულტურის სამსახურის ინიციატივით დაიწყო პროექტი ,,მადლობა მასწავლებელო“, პროექტის ფარგლებში შეხვედრები იმართება ღვაწლმოსილ პედაგოგებთან. სამსახურმა წლის განმავლობაში ასევე განახორციელა სხვადასხვა პროექტი ახალგაზრდა პედაგოგების წასახალისებლად.

სექტემბრის ბოლოს დაიწყო სახელმწიფო რწმულებულის თასზე შეხვედრები მუნიციპალიტეტებს შორის მინი ფეხბურთში.

ასევე წელს პირველად ჩატარდა ხარაგაულელი ახალგაზრდის ვანო ბანცაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი. მასში მონაწილეობდა 12 გუნდი. ვფიქრობთ აღნიშნული ტურნირი ტრადიციული გახდება.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი

ა.ა.იპ. ხარაგაულის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი სკოლისგარეშე სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც ბავშვებს თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებაში ეხმარება.

მოსწავლეთა სახლი აქტიურად თამამშრომლობს მუნიციპალიტეტის სკოლებთან, აცხადებს სხვადასხვა სახის კონკურსებს და ატარებს კულტურულ და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებისათვის თავისუფალი დროის სწორ ორგანიზებას და მოზარდთა ინტერესების მრავალმხრივ განვითარებას.

მოსწავლეთა სახლში სხვადასხვა წრეებში 230 ბავშვია გაერთიანებული.

მთელი წლის მანძილზე მოსწავლეთა სახლის ბაშვების მიერ კონცერტები ჩატარდა , როგორც ადგილზე, ასევე სოფლებში.

ზაფხულზე მოსაწავლეთა სახლის ბაზაზე მოეწყო 5 დღიანი, საზაფხულო დღის ბანაკი, სადაც 70 ბავშვი იღებდა მონაწილეობას. ბანაკის დღეები დატვირთული იყო სხვადასხვა აქტივობებით.

საერთაშორისო კინო ფესტივალზე „თბილისური აისი“- მონაწილეობდა მოსწავლეთა სახლის მიერ შექმნილი ფილმი „ცისკრის ვარსკვლავი“, რომელმაც დაიმსახურა ჯილდო ნომინაციაში ,,ყველაზე სენტიმენტალური ფილმი”.

მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ მოსწავლეთა სახლი 2023 წელს მონაწილეობას ღებულობს მშვიდობის კორპუსის მიერ გამოცხადებული მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამაში და ემზადება მოხალისის მისაღებად. მოსწავლეთა სახლმა კონკურსის პირველი ეტაპი წარმატებით გაიარა. კონკურსი 2024 წლის ზაფხულზე დასრულდება და 2024 წლის სექტემბრიდან მიიღებს უცხოელ მოხალისეს, რომელიც დაეხმარება ორგანიზაციული მიზნებისა და სტრატეგიების განვითარებაში. პროგრამების და პროექტების განხორციელებაში ,ახალი პროექტების შემუშავებასა და არაფორმალური აქტივობების დაგეგმვაში.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“

2023 წლის 7 – 10 იანვარს ქალაქ ბათუმში ჩატარდა საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში დიდებს შორის, სადაც ზაურ ბერაძემ და ევსემ შველიძემ დაიკავეს მეორე ადგილი.

2023 წლის 11 -12 თებერვალს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში გოგონათა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღო ჩვენი ცენტრის მოჭიდავემ ნინო ჭყოიძემ და დაიკავა მესამე ადგილი.

ნინო ჭყოიძეს ა(ა)იპ “სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“-ს წესდების საფუძველზე გადაეცა ფულადი ჯილდო 600 ლარის ოდენობით, ა(ა)იპ-ის ბიუჯეტიდან.

2023 წლის 31 მარტს ხარაგაულში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ტარიელ შავიძის ხსოვნის ტურნირი ძიუდოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ნაკრებმა გუნდებმა.

2023 წლის 6-7 მაისს ქალაქ თბილისში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი მკლავჭიდში, სადაც მონაწილეობა მიიღო ნიკა ჩხიკვაძემ და მოიპოვა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის საგზური. ნიკა ჩხიკვაძეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაუფინანსდა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯები სრულად.

2023 წლის 19 -21 მაისს კასპში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კარატეში, სადაც მონაწილეობა მიიღო 14 მოსწავლემ, ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავა მარიამ ქვემოთიანმა და გიორგი მუმლაძემ, მეორე ადგილი თამთა პავლაძემ, ხოლო მესამე ადგილი დაიკავეს რეზი ფერაძემ და მიხეილ დვალმა.

2023 წლის 10 აგვისტოდან 2023 წლის 19 აგვისტომდე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მარელისში მოეწყო ახალგაზრდული ბანაკი სამ ნაკადად, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლის მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე კლასის 110 მოსწავლემ.

2023 წლის ივნისში ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“-ს დარბაზში ჩატარდა დამსახურებული მწვრთნელის ანზორ მაღრაძის ხსოვნის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ნაკრებმა გუნდებმა.

2023 წლის აგვისტოში მუნიციპალიტეტის მერიასა და შ.პ.ს საფეხბურთო კლუბ „ დინამო თბილისის“ საფეხბურთო სკოლას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რის საფუძველზეც ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“-სა და შ.პ.ს საფეხბურთო კლუბ „ დინამო თბილისის“ საფეხბურთო სკოლასთან დაიდო ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად ჩვენი სპორტსკოლის 2013 წელს დაბადებული ფეხბურთელთა გუნდი იღებს მონაწილეობას აკადემიის მიერ ორგანიზებულ საფეხბურთო ფესტივლებზე.

აგვისტოში ყაზახეთში, ჩატარდა 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატი მკლავჭიდში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულელმა სპორტსმენებმა ნიკოლოზ ჩხიკვაძემ და ნიკოლოზ ტაგანაშვილმა. ორივე სპორტსმენს მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯები სრულად დაუფინანსდა ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

2023 წლის აგვისტოში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მარელისში მოეწყო ახალგაზრდული საზაფხულო კარვების ბანაკი სამ ნაკადად, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლის მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასის 110 მოსწავლემ.

ტრადიციულად ,აგვისტოში ჩატარდა ნოდარ ახალკაცის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში, სადაც მონაწილეობას მიიღეს,როგორც ჩვენი მუნიციპალიტეტის, ასევე და სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ფეხბურთელთა გუნდებმა.

2023 წლის 27 – 28 ნოემბერს დაიწყო და გრძელდება საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში გოგონათა შორის, სადაც მონაწილეობას იღებს ჩვენი მუნიციპალიტეტის 14 წლამდელთა ნაკრები გუნდი.

ა(ა)იპ,,კულტურის და ხელოვნების ცენტრი“

ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკაში მთელი წლის განმავლობაში , ტარდება არაერთი საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიება:პროექტი , ,,სტუმრად ბიბლიოთეკაში“,,ცოცხალი წიგნები“ , შეხვედრა მწერალთან“, ვინ წამიკითხავს ზღაპარს'' და სხვა.

ყოველი წლის გაზაფხულზე ტრადიციულად ტარდება საბიბლიოთეკო კვირეული, რომელშიაც ჩართულია მთელი გაერთიანება. ყველა განყოფილებაში ეწყობა ღონისძიება.

ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა მონაწილეობა მიიღო იმერთის თეატრალურ ფესტივალში. წარმოდგენილი იქნა დავით ტურაშვილის პიესა ,,დოდოს მოლოდინში“. სპექტაკლმა გაიმარჯვა ორ მთავარ

ნომინაციაში. ხარაგაულში სპექტაკლი გაიმართა სამჯერ.სპექტაკლის ჩვენება ასევე გაიმართა თბილისში.

ტრადიციული ლიტერატურული კონკურსი,, ოდეონი“ გაიმართა სექტემბერში. მასში მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულელმა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებულმა ადამიანებთან. გამოვლინდნენ გამარჯვებულები. მონაწილეები დაჯილდოვდნენ.

2023 წლის ოქტომბერში ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის თეატრის ინიციატივით და ორგანიზებით გაიმართა სამხატვრო პლენერი ,,გამა“. დასკვნითი ღონისძიება გაიმართა ხარაგაულის კულტურისა და დასვენების პარკში და მასში მხატვრებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საოპერო ხელოვნების წარმომადგენლებმა. მხატვრებმა პლენერის ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები საჩუქრად გადასცეს ხარაგაულს.

4 ნოემბერს გაიმართა ,,ხარაგაულობის'' სახალხო დღესასწაული. ღონისძიებაში ჩართული იყო კულტურული მიმართულების ყველა დაწესებულება. გაიმართა საზეიმო კონცერტი, გაიხსნა რეაბილიტირებული კულტურისა და დასვენების პარკი, გაიმართა თეატრალიზებული პერფომასი, მოეწყო ხარაგაულზე შექმნილი წიგნების და ძველი ხარაგაულის ფოტოების გამოფენა. წარმოდგენილი იყო შემოდგომის ნობათი ტერიტორიული ერთეულების მიერ. წარმოდგენილი იყო სპორტული მიმართულების წრეები, ტურიზმის ცენტრი, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი.

კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით 5 აპრილს დაიწყო და 19 მაისს დასრულდა „ახალგაზრდული ფესტივალი“.

ფესტივალის ორგანიზებაში მონაწილეობას ღებულობენ: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია, კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, საგანმანათლებლო რესურსცენტრი, სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სამუსიკო სკოლა და ხარაგაულის ახალგაზრდული საკრებულო.

ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში ჩატარდა ღონისძიებები. ასეთებია: მუზეუმების საერთაშორისო კვირეული, ფოტოგამოფენები, მოხატული კერამიკა, პატარა არქეოლოგები, მე ვხატავ ანიმაციას ჩემი პარატარა ხელებით, ევროპული კვირეულის დღეები და ასე შემდეგ.18 მაისს მუზეუმში ტრადიციულად მოეწყო ეროვნული სამოსის დღე.

ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა

ხარაგაულში სამუსიკო განათლებას ემსახურება ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა.სამუსიკო სკოლაში მუშაობა მიმდინარეობს 4 მიმართულებით:

1. ფორტეპიანო
2. ვიოლინო
3. გიტარა
4. საესტრადო ვოკალი

წლის განმავლობაში სამუსიკო სკოლის მოსწავლეები ჩართული იყვნენ სხვადასხვა კონკურსებში. წარმატებით მონაწილეობდნენ სხვადასხვა მუსიკალურ ფესტივალებში. გასულ წელს სამუსიკო სკოლამ შემოგვთავაზა არაერთი საინტერესო ღონისძიება.

სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ხელოვნების აკადემიის მიერ ორგანზებულ კონკურსში, ფესტივალში ,,მომავლის ვარსკვლავები“, ფესტივალში ,,იმერეთის ხმა“ აგრეთვე კონფერენციაში ,,თაობათა ცვლა“.

მაისში ,,ახალგაზრდული ფესტივალის ფარგლებში“ გაიმართა კულტურისა და დასვენების პარკში ანსამბლ ,,გრავეს“ კონცერტი.

სექტემბერში გაიმართა მიუზიკლი ,,კონკიას’ ჩვენება.

7-11 დეკემბერს ხარაგაულის სამუსიკო სკოლამ მონაწილეობა მიიღო ქ. ბაქოში გამართულ საერთაშორისო კონკურსში, სადაც სამუსიკო სკოლის აღსაზრდელმა მეორე საპრიზო ადგილი აიღო.

ადმინისტრაციული სამსახური

2023 წლის 1 იანვრიდან დღემდე მერიაში შემოსულია 4875 კორესპოდენცია. აქედან კანცელარიაში მატერიალური სახით შემოსულია 2996 წერილი, ელექტრონულად მიღებულია -1879. მიღებულ კორესპონდენციებზე პასუხების გაცემა ხდება კანონით დადგენილ ვადებში. გასული დოკუმენტების რაოდენობაა- 4702, ამ პერიოდისათვის გამოცემულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი - 2826 ბრძანება, სამსახურებრივი შიდა მოძრაობის- 1986 წერილი. სოციალურ საკითხებზე შემოსულია 3095 განცხადება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის შესახებ -166 განცხადება.

2018 წლიდან ხდება პროფესიული საჯარო მოხელეების შეფასება, რის საფუძველზეც 2023 წლის 3 იანვარს მოხდა კლასის მინიჭება (მეორე კლასი) პროფესიულ საჯარო მოხლეებზე- სულ.: მეორე კლასი მიენიჭა 52 საჯარო მოხელეს , პირველი კლასი 13.

მიმდინარე წელში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანსიებზე გამოცხადდა 2 კონკურსი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

განყოფილება ადმინისტირებას უწევს ვებ-გვერდს www.kharagaulinews.gov.ge, სადაც ყოველდღიურ რეჟიმში ქვეყნდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე ადმინისტრაციულ,ინფრასტრუქტურულ, სოციალურ-კულტურულ, სპორტულ, თუ სხვა სახის ღონისძიებების შესახებ. ასევე, ახდენს სოციალური ქსელების (მერიის ოფიციალური ფეისბუქ გვერდის და ჯგუფის) ადმინისტრირებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება საქმიანობის განხორციელებისას დაგროვილი ინფორმაციის საფუძველზე ახდენს მონაცემთა ბაზის, არქივის შექმნას და ინფორმაციის ანალიზს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება თანამშრომლობს სხვადასხვა

საინფორმაციო სააგენტოსთან. მთელი წლის მანძილზე ხარაგაულში მიმდინარე მთავარი თემების (ინფრასტრუქტურული, კულტურული თუ სოციალური ხასიათის) შესახებ ინფორმაცია მიეწოდებოდა ipress.ge , topnews.com.ge

მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება აქტიურ კომინიკაციაშია მერიის მიერ დაფუძვნებულ აიპებთან და ერთობლივად მუშაოებენ საინფორმაციო ხასიათის მასალების გამოქვეყნებაზე.

ხარაგაულის ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით, აქტიურად

თანამშრომლობს ტელევიზიებთან, ხარაგაულის ტურისტული ლოკაციების და კუთხისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა სახის ნაწარმის პოპულარიზაციის მიზნით.

მნიშვნელოვანია , რომ 2023 წელს ხარაგაულის მერიის ვებ-გვერდი Kharagauli.gov.ge საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების 2023 წლის ეროვნული შეფასების (LSG ინდექსი) შედეგების მიხედვით, 64 მუნიციპალიტეტს შორის მე-11, ხოლო იმერეთის მასშტაბით პირველ ადგილზე გავიდა.

107 კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად ხარაგაულის მერია და საკრებულო ერთობლივი პასუხისმგებლობით იყო ჩართული სამუშაო პროცესში.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ორგანიზებით გვქონდა შეხვედრები მერიის შესაბამის სამსახურებთან.

რაც მთავარია, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი თანამდებობის პირები მხარს ვუჭერდით მეტი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად.

ხარაგაული გამორჩეული იყო 2023 წელს და მომავალ წელს ეს ტემპი კიდევ უფრო გაიზრდება.

ხარაგაულს მუნიციპალიტეტის მერია ცენტრალურ ხელისუფლებასთან, საკრებულოსთან, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციასთან და მაჟორიტარ დეპუტატთან აქტიური თანამშრომლობით შეეცდება 2024 წელი კიდევ უფრო წარმატებული იყოს.